საქართველოს მთავრობის

დადგენილება №345

2023 წლის 1 სექტემბერი

ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №13 დანართის („ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება“ პროგრამული კოდი: 27 03 03 03“):

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება“ (2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით) (პროგრამული კოდი: 27 03 03 03)“.

2. მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **1,875.0** ათასი ლარით.

მუხლი 9. დამატებითი პირობები

1. პროგრამის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ამბულატორიული მომსახურების ზედამხედველობა ხორციელდება გეგმური ამბულატორიული შემთხვევების ზედამხედველობის წესის შესაბამისად, ხოლო სტაციონარული მომსახურების ზედამხედველობა – გეგმურ სტაციონარულ შემთხვევათა ზედამხედველობის წესის შესაბამისად.

2. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართ №1.15-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გააგრძელოს მომსახურება ახალი მიმწოდებლ(ებ)ის გამოვლენამდე, აგრეთვე დაასრულოს ამ დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დაწყებული 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მიმდინარე სტაციონარული შემთხვევა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, მიმართოს პროგრამის განმახორციელებელს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართ №1.15-ით გათვალისწინებული მომსახურების 2023 წლის 1 სექტემბრიდან დროებით მიმწოდებლად რეგისტრაციის მიზნით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**